



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

13

თურქეთის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის  
უსაფრთხოების გამონახვა: ნავთობსადაცხების  
დაცვა და საერთაშორისო უსაფრთხოების  
თანამშრომლობის განმტკიცება

*ერიკ რ. ეისლერი*

ექსპერტის აზრი



2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

ერიკ რ. ეისლერი

**თურქეთის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის  
უსაფრთხოების გამომწვევა: ნავთობსადაცხის  
დაცვა და საერთაშორისო უსაფრთხოების  
თანამშრომლობის განმტკიცება**

**13**

**2013**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6132-5

## შესავალი

ბოლო ათწლეულია თურქეთი, როგორც რეგიონის „ენერგეტიკული ჰაბი“, ამომავალ ვარსკვლავად იქცა. შეიქმნა ორი დიდი ნავთობსადენი და ერთი, ამჟამად განახლების პროცესში მყოფი, სარკინიგზო დერეფანი (ბაქო-თბილისი-ყარსი). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) ახდენს ნავთობის, ხოლო ბაქო-თბილისი-ერზრუმი (BTE) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას. შემდეგი დიდი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნავთობსადენი იქნება ტრანს-ანატოლიური გაზის მილსადენის (TANAP) პროექტი, რომელიც აზერბაიჯანულ გაზს თურქეთის გავლით ევროპაში გადაიტანს ტრანსადრიატიკული გაზის მილსადენის (TAP) საშუალებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროპისთვის თურქეთი წარმოადგენს ენერგეტიკული მომარაგების ალტერნატიულ გზას რუსეთის შემოვლით. ასევე ცნობილია, რომ ევროპის მოთხოვნილება ენერგიაზე სწრაფად იზრდება, სულ უფრო და უფრო მეტი მილსადენი გაჰყავთ მინასა თუ ქალაქებზე და მათი უმრავლესობა თურქეთზე გადის. როგორც ზემოხსენებული მილსადენებიდან და რკინიგზიდან ჩანს, ყველა გზა ბაქოდან იწყება. თურქეთი აირის ტრანზიტის მთავარი პუნქტია და არა ნახშირწყალბადის მთავარი მწარმოებელი. მიუხედავად ამისა, თურქეთი შესაძლოა ზოგჯერ არასანდო სატრანზიტო ქვეყანაც კი იყოს მილსადენებზე ტერორიზმისა თუ გაზზე საკუთარი მოთხოვნილების არასათანადოდ (გადაჭარბებით თუ არასკმარისად) შეფასების გამო, ანდა იმის გამო, რომ ვერ შეძლოს (თურქეთ-საბერძნეთის ITG ურთიერთდამაკავშირებელი მილსადენის გამოსაცდელი პერიოდის ინციდენტი) დათქმული ენერჯის მიწოდება.<sup>1</sup>

აზერბაიჯანს, კასპიის ზღვის სხვა ქვეყნებთან ერთად, აკისრია ენერგეტიკული ჰაბის როლი. ის აწარმოებს ენერგიას და გზავნის მას მთელ ცენტრალურ აზიაში, თურქეთსა და უფრო შორს – ევროპაში, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ნახშირწყალბადის ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარია. TANAP-ისა და TAP-ის მშენებლობისთვის ოფიციალურად მწვანე შუქის ანთებით თურქეთის როლი ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება. თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ტანერ ილდიზი შემდეგნაირად განმარტავს თურქეთისა და აზერბაიჯანის როლს რეგიონში: „TANAP-ს დაეკისრება მთავარი ფუნ-

ქცია თურქეთის მისიაში, გახდეს აღმოსავლეთის მდიდარი ენერგეტიკული რესურსების დასავლეთისკენ გადამტანი „ხიდი“, სადაც მოთხოვნა სულ უფრო იზრდება“.<sup>2</sup>

თურქეთს უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აქვს, რაც საშუალებას აძლევს მას იყოს რუსეთის ალტერნატიული გზა და ევროპისთვის ენერჯის მთავარი მიმწოდებელი. შესაბამისად, ეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მას გამონვევების წინაშე აყენებს. თუ ვიმსჯელებთ საერთაშორისო დონეზე, თურქეთს დავა აქვს საბერძნეთთან, კვიპროსთან, ისრაელთან და ლიბანთან საზღვაო დემარკაციის საკითხებთან დაკავშირებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც ნახშირწყლების რეზერვების უდიდესი რაოდენობაა აღმოჩენილი.

თურქეთი ცნობილია, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის, რის გამოც ხშირად მისი მთავრობა უსაფრთხოების მნიშვნელოვან პრობლემებს ნაკლებმნიშვნელოვნადაც კი აღიქვამს. თურქეთს გამონვევები აქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK) ჰქვია, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირს ტერორისტულ ორგანიზაციად ჰყავთ აღიარებული და რომელიც თავისი აღიარების ძიებაში უსაფრთხოების უამრავ პრობლემას უჩენს თურქეთს და ნიადაგს ქმნის სამთავრობო ინსტიტუციებისა თუ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ ტერორიზმისთვის.<sup>3</sup> აღმოსავლეთ თურქეთის რეგიონების პერიოდული „განუკითხაობა“ რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი პრობლემაა. ტერორისტული თავდასხმები და ქურდობა მილსადენებზე იწვევს ნგრევას და ამის შეკეთება, შენახვა, დაკარგული შემოსავლები და გარემოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანი მილიონობით დოლარი ჯდება. ენერჯიაზე გლობალური მოთხოვნის ზრდასთან ერთად გახშირებული თავდასხმები მილსადენებსა და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე, როგორც პოტენციურ სამიზნეებზე. ამრიგად, სტატიის დასკვნით ნაწილში მოცემულია რამდენიმე ვარაუდი, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფდა თურქეთის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მომავალ უსაფრთხოებას.

### **თურქეთის დამოკიდებულება ენერგეტიკულ იმპორტზე**

თურქეთი არის ენერგეტიკული დებიტორი ქვეყანა, რადგან ვერ აწარმოებს იმ რაოდენობის ენერჯიას, რამდენსაც მოიხმარს და თავისი ენერგეტიკული საჭიროების უდიდესი ნაწილი სხვა

ქვეყნებიდან უნდა შემოიტანოს. თურქეთი რუსული ბუნებრივი გაზის მესამე უდიდესი იმპორტიორია. ამ დამოკიდებულების შემდგომი განვითარების მიზნით 2011 წლის 28 დეკემბერს ანკარამ და მოსკოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რის შედეგადაც რუსეთი უფლებამოსილი გახდა თურქეთის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში (EEZ) დაენყო მილსადენის გაყვანა, რომელიც იქნებოდა სამხრეთ ნაკადის (South Stream) გაზის მილსადენის შემადგენელი ნაწილი.<sup>4</sup> სამხრეთის ნაკადი აუცილებელია მომავალში თურქეთის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისი ბუნებრივი გაზის სტაბილური მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს ფაქტი და ზემოხსენებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა თურქეთის ურთიერთობას რუსეთთან ბუნებრივი გაზის საკითხთან დაკავშირებით, ნათლად აჩვენებს, რომ, როგორც ე.წ. „ჭაბი“ თუ რუსეთის შემოვლითი ალტერნატიული გზა, თურქეთი მაინც რუსეთზეა დამოკიდებული. თურქეთი ძლიერ არის დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. არსებობს ორი მილსადენი, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ტრანსფერს: ერთი – რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით და მეორე – ე.წ. ცისფერი ნაკადი (Blue Stream), რომელიც შავი ზღვის ქვეშ გადის და თურქეთისკენ მიემართება.<sup>5</sup> 2012 წლის დეკემბერში გაზპრომმა თურქეთს 10%-იანი ფასდაკლება გაუკეთა ბუნებრივ გაზზე, რის შედეგადაც ფასმა დაიწია \$415-დან \$370-მდე 1000 კუბურ მეტრზე, ახალი კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის დასაწყისში.<sup>6</sup>

ირანი ბუნებრივი გაზის მეორე დიდი ექსპორტიორია თურქეთში. ირანს, რუსეთის მსგავსად, შეუძლია გადაკეტოს მომარაგება და საფრთხე შეუქმნას თურქეთს, თუკი ამის მიზეზს დაინახავს. ირანი ექსპორტს ძირითადად სამ ქვეყანაში ეწევა: თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.\* თურქეთი ირანული ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდი იმპორტიორია, რადგან ის იღებს ირანული ბუნებრივი აირის ექსპორტის 90%-ზე მეტს.<sup>7</sup> თუმცა, რადგან რუსეთი ენერგეტიკულ სფეროში ირანზე უფრო დიდი მოთამაშეა, ამიტომ ყურადღებას ძირითადად რუსეთზე გავამახვილებთ.

თურქეთის მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნა შესაძლოა მისი აქტილევსის ქუსლი იყოს, რადგან 2 000-იანი წლების დასაწყ-

---

\* გეოგრაფიისა და ნაციონალური საზღვრების გამო აზერბაიჯანსა და ირანს აქვთ გაზის გაცვლის შეთანხმება, რომელიც ემსახურება გაზის მიწოდებას ნახჭევანისთვის – აზერბაიჯანის მონყვეტილი ტერიტორიისთვის.

ისიდან მოყოლებული ძლიერი ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, თურქეთს დასჭირდება თავისი ენერგეტიკული იმპორტის გაზრდა, რადგან მისი ეკონომიკა და, ალბათ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი მოსახლეობა იზრდება. თურქეთმა სათანადოდ უნდა შეაფასოს თავისი მომავალი ენერგეტიკული საჭიროებანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა და მზარდი მოსახლეობის პირობებში, რომელიც გაანგარიშებების თანახმად, 2050 წლისთვის 97 მილიონს მიაღწევს.<sup>8</sup> კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მზარდი მოსახლეობისთვის ენერჯის საჭირო რაოდენობის მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭიროა დეტალურად იყოს შესწავლილი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ამჟამინდელი მდგომარეობა.

### **თურქეთის მილსადენების დღევანდელი მდგომარეობა**

ამჟამად თურქეთში მილსადენების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავრობაა, რისი უზრუნველყოფაც ჟანდარმერიის საშუალებით ხდება.<sup>9</sup> ჟანდარმერიას, მილსადენების უსაფრთხოების დაცვის გარდა, სხვა ამოცანები და პასუხისმგებლობებიც აქვს და სწორედ ამ სხვა პასუხისმგებლობების გამო არის შეუძლებელი, რომ მილსადენების უსაფრთხოებას 100%-იანი ყურადღება ჰქონდეს დათმობილი. ჟანდარმერია ჩვეულებრივ არის კანონის მთავარი აღმასრულებელი ორგანო ადგილობრივი პოლიციის იურისდიქციის გარეთ. ჟანდარმერიის პასუხისმგებლობა ძირითადად ვრცელდება ფართო, მეჩხერად დასახლებულ, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე. ეს ნიშნავს, რომ ჟანდარმერიის პასუხისმგებლობა დიდ ტერიტორიებზე ვრცელდება და რომ ძალები შესაძლოა ხშირად არ იყოს ასაკმარისი იმ რეგიონებში, სადაც ხშირია ტერაქტები.

თურქეთის საერთაშორისო სტრატეგიული კვლევის ორგანიზაციის (USAK) ანგარიშიდან ამოღებული ქვემოთ მოხმობილი ციტატა აღწერს მილსადენებზე ჟანდარმერიის მიერ უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ზოგად მდგომარეობას: „მილსადენების უსაფრთხოებას ტერორისტული თავდასხმების მხრივ ჟანდარმერიის 35 სადგური უზრუნველყოფს, რომლებიც ამ გზაზეა განლაგებული. მაგალითად, თურქეთის ნავთობსადენების კომპანიასა (Turkish Pipeline Petroleum Company - BOTAS) და ჟანდარმერიის სარდლობას (General Command of the Gendarmerie) შორის ხელი მოეწერა საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნედლი ნავთობის მილსადენის ხაზის გასწვრივ, თურქეთში, უნდა შექმნილიყო დაცვის 33 ჯგუფი და დაცვის 13 სადგური“.<sup>10</sup>

შესაძლოა ეს უსაფრთხოების დიდ ძალად გამოჩნდეს, მაგრამ ჟანდარმერიის მეტი ყურადღება და მოვალეობები მიმართული იყო სხვა ტერიტორიების ადგილობრივი საქმეებსა და წესრიგის კონტროლზე და არა მილსადენებზე.<sup>11</sup> „გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თანამშრომლობა ჟანდარმერიასა და თურქეთის უსაფრთხოების სხვა ოფიციალურ პირებსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოების წარმომადგენლებს შორის, თურქეთში უსაფრთხოების შრეები უფრო სუსტია, ვიდრე საქართველოში ან აზერბაიჯანში“.<sup>12</sup> ტერორისტული თავდასხმების უმეტესობა, უსაფრთხოების არარსებობის გამო, შემდეგ რეგიონებზე მოდის: ადანა, მარდინი, ერზინჯანი, კარამანმარაში, ოსმანიე, ადანა-ჯეიჰანი, ერზინჯან-რეფაიე.<sup>13</sup> კირკუკ-იუმურტალიკის ნავთობსადენი და თურქეთ-ირანის ბუნებრივი გაზის მილსადენი არის ის ორი მილსადენი, რომელთაც ყველაზე ხშირად ესხმიან თავს. რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენებს, იქ დღემდე მხოლოდ რამდენიმე თავდასხმა მოხდა.<sup>14</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თავდასხმა, რომელიც განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალზე 2008 წლის აგვისტოში. მაშინ, როცა მსოფლიოს ყურადღება მიჰყრობილი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე ხანმოკლე ომზე, აფეთქებამ და ხანძარმა მოიცვა ჩამკეტი სარქველის სადგური რაფაიეში, რის შედეგადაც მილსადენი რამდენიმე კვირით გაითიშა.<sup>15</sup> ჯერ კიდევ გასარკვევია, ეს ტერორისტული აქტი იყო თუ ავარია — თურქეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს ავარია იყო. ეს მაგალითი ცხადყოფს, ზოგჯერ რამდენად არასაიმედოა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება თურქეთში. ამ ავარიასთან დაკავშირებით არც ერთხელ არ გაკეთებულა განცხადება ზარალის საერთო ღირებულების ან საშემოსავლო დანაკარგის შესახებ, რაც მილსადენის დაკეტვას მოჰყვა. თუმცა, საშემოსავლო დანაკარგი შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია კარგად აჩვენებს რა შეიძლება იყოს ტერორისტული თავდასხმებისა და ნავთობის ქურდობის შედეგად მიღებული საშუალო საშემოსავლო დანაკარგი.

2009 წელს BOTAS-მა გაავრცელა ინფორმაცია ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2003-2008) ნავთობის ქურდობის შემთხვევების შესახებ. მილსადენებიდან 400-ზე მეტი სხვადასხვა ინციდენტის დროს 72 729 ბარელი ნავთობი მოიპარეს. ამ რაოდენობის ნავთობის ფასი 2009 წელს \$5 002 157-ზე მეტი იყო.<sup>16</sup> ამასთან, მილსად-



ენის მონაკვეთის ტერორისტულ დაზიანებას ყოველთვის მოჰყვება ნავთობის დანაკარგი – ნავთობი იღვრება განადგურებული მილბიდან. მილსადენის მონაკვეთის დაზიანების დროს იკარგება დიდი შემოსავალი. 1987-დან 2010 წლამდე თურქულ მილსადენებზე 59 მნიშვნელოვანი ტერორისტული თავდასხმა მოხდა.<sup>17</sup> ასეთ დროს პრობლემაა არა მარტო ნავთობის მიწოდება, არამედ რისკის წინაშე დგებიან სპეციალისტების ჯგუფებიც, რადგან მილსადენის დაზიანებული მონაკვეთის შესაკეთებლად საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე უნდა შევიდნენ. ამასთან, მილსადენების შეკეთებაზე მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება.

მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე რეჰა აიკულ მურატოლლუმ, თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებულმა სატრანზიტო ნავთობსადენის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ წლების განმავლობაში განხორციელებული ამ ტერორისტული თავდასხმების გამო თურქეთი მილსადენების შეკეთების დიდი ექსპერტი გახდა.<sup>18</sup> ეს განცხადება ორ რამეზე მეტყველებს: პირველი, რომ ტერორისტული თავდასხმები ხშირი მოვლენაა და მეორე, თურქეთი გახდა მილსადენების სწრაფად შეკეთების ექსპერტი, ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა თავდასხმების პრევენცია; ამით კი იფლანგება თანხები, ხოლო მიმწოდებლებისთვის იკარგება ძვირფასი ნახშირწყალბადის შემოსავალი. ამ არგუმენტს კიდევ უფრო ამყარებს ტალინის თავდაცვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მეთიუ ჯ. ბრაიზას განცხადებაც, რომ თურქეთი დაოსტატდა შეკეთებაში, თუმცა არ შეუძლია სრულიად აღკვეთოს საკუთარ მილსადენებზე თავდასხმები. მიუხედავად ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ტერორისტებმა ვერ მოახერხონ იმ ტერიტორიის კონტროლი, სადაც ნგრევა მოხდა და ვერ შეუშალონ ხელი დანგრეულის აღდგენა-შეკეთებას.<sup>19</sup> ასეთი რამ უაღრესად გაართულებდა ვითარებას, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამის ალბათობა თურქეთში საკმაოდ მცირეა, რადგან მილსადენის ხელში ჩაგდების მცდელობის შემთხვევაში ტერორისტების ლიკვიდაციისათვის სამხედრო ძალას გამოიძახებენ. თურქი სამხედროების ქმედებები კი, ნებისმიერი დაზიანებული მილსადენის ხელში ჩაგდების მცდელობის პრევენციისათვის, იქნება ეფექტური.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი დაინტერესებული მხარე მიმწოდებელი ქვეყნებიდან შეშფოთებას გამოთქვამს თურქეთის მილსადენებზე სრული უსაფრთხოების არარსებობის გამო. ეს იგრძნობოდა კონსტანტინე ციციშვილის პრეზენტაციიდან

NATO-ს 2011 წლის კონფერენციაზე თბილისში.<sup>20</sup> მართალია, ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ უსაფრთხოების ხარვეზები თურქეთს ნამდვილად აყენებს გამონვევის წინაშე და ნამდვილად ქმნის დაძაბულობას მის ურთიერთობაში მიმწოდებელ ქვეყნებთან. საინტერესოა, რომ ერთად მომუშავე ამ ენერგოკომპანიების უმრავლესობა სახელმწიფო კომპანიებია და ამდენად, ისინი, ალბათ, თვალს დახუჭავენ არსებულ პრობლემებზე. მთავრობებმა შესაძლოა არ ილაპარაკონ უსაფრთხოების პრობლემებზე, მაგრამ როცა საქმე ეხება ნახშირწყალბადს, რომელიც, ალბათ, მსოფლიოში უდიდესი შემოსავლის წყაროა, ერთმანეთის დადანაშაულების ნაცვლად მათ უნდა მიიღონ ზომები რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ერთად უნდა იმუშაონ საერთო უსაფრთხოებაზე. ეს პრობლემები პერიოდულად ერთდროულად წამოიჭრება ხოლმე. თურქეთში კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება ხშირად გადაიხედება, რასაც ცხადყოფს ზემოთ მოყვანილი სიტუაცია ჟანდარმერიისთვის ახალი ვალდებულებების გადაცემის შესახებ.

*Today's Zaman*-თან საუბარში ჰასან სელიმ ოზერტემმა, თურქეთის საერთაშორისო კვლევის ორგანიზაციიდან, თურქეთის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების შესახებ განაცხადა: ეს პრობლემა რამდენჯერმე დადგა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს (MGK) დღის წესრიგში და NATO-ს რამდენიმე წვრთნაც ჩატარდა, მაგრამ კანონმდებლობაში არ არსებობს თურქეთის კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მკაფიო განსაზღვრება. მან ხაზი გაუსვა, რომ თურქეთის კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა მნიშვნელოვანია ენერჯის მდგრადი და საიმედო ტრანსპორტირების სერვისის უზრუნველსაყოფად. ჰ. ოზერტემი მიიჩნევს, რომ კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის ეროვნული პროგრამის არსებობა დიდად დაეხმარება თურქეთს, სათანადო და მყისიერი რეაგირება მოახდინოს დაზიანების, ინციდენტის ან თავდასხმის შემთხვევაში და კარგი იარაღი იქნება მისი მტრების წინააღმდეგ.<sup>21</sup>

ზემომოყვანილი ნაწყვეტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პოლიტიკის ანალიტიკოსები ცდილობენ ყურადღება მიაპყრონ იმ ფაქტს, რომ თურქეთის მთავრობა არასაკმარისად მუშაობს ენერგეტიკული აქტივების დაცვის უზრუნველსაყოფად. ნუთუ თურქეთის მთავრობა უგულვებლყოფს ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიტიკოსების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს? მოკლე პა-

სუხია — დიას. რალაც ხანი მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია დაცვის გაუმჯობესების შესახებ მოწოდებებისთვის, მაგრამ 2012 წლის ბოლოს მთავრობამ თითქოსდა გამოიჩინა ყურადღება, რადგან უსაფრთხოების ახალი ზომების ნიშნები გამოჩნდა.

### **რეგიონული ენერგეტიკული უსაფრთხოების თანამშრომლობისთვის**

2012 წლის მეორე ნახევარში მედიაში გაკეთდა რამდენიმე განცხადება, რომ თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ითანამშრომლებენ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „ტრენდის“ პრესრელიზში გამოქვეყნდა აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის რამდენიმე ციტატა, სადაც იგი აცხადებს, რომ: „აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ძალიან მჭიდრო ეკონომიკური კავშირებია, განსაკუთრებით – ენერგეტიკის სფეროში. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. როდესაც ლაპარაკია ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სამხედრო კომპონენტზე, პირველ რიგში იგულისხმება საერთო პროექტების უსაფრთხოების საკითხი. უცნობია, რა იქნება შემდეგ, მაგრამ, სავარაუდოდ, მხარეები გაერთიანებულ სამხედრო ქმედებებს არსებული ინფრასტრუქტურების, ანუ მილსადენების დასაცავად მიმართავენ“.<sup>22</sup> მართებულია ბოლო წინადადება: „უცნობია, რა იქნება შემდეგ“ და არ არსებობს ინფორმაცია იმაზე, თუ რას აკეთებენ ეს ქვეყნები თავიანთი გაერთიანებული ენერგეტიკული უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად გარდა იმისა, რომ 2012 წლის 26 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე სამივე ქვეყანამ ჩაატარა საერთო სამხედრო წვრთნები ანკარის შემოგარენში.<sup>23</sup> თითოეულ ქვეყანას საერთაშორისო მილსადენების საკუთარ მონაკვეთზე უსაფრთხოება თავის მხრივ უნდა უზრუნველყო. 2006 წლის ივნისში თურქეთის ყოფილმა ელჩმა აზერბაიჯანში პრესას განუცხადა, რომ „თუ ქვეყანას არ შეუძლია რაიმეს განხორციელება დამოუკიდებლად, ამისათვის არსებობს მექანიზმი. ასეთ დროს შეიკრიბება გაერთიანებული კომისია და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას“.<sup>24</sup> როგორც ჩანს, ეს ე. წ. გაერთიანებული კომისია შეიკრიბა წელსა თუ შარშან და გადანყვიტა, რომ უნდა ამოქმედდეს მილსადენის რეგიონული უსაფრთხოების ძალა. უცნობია, რამდენად იყო ეს გამოწვეული თურქეთის მხარეს მდებარე მილსადენების უსაფრთხოების პრობლემებით, რადგან ასეთი ინფორმაციის მოპოვება არ არის ადვილი. გარდა ამისა, ამ

ტიპის უარყოფითი პრესა ცუდ სამსახურს გაუწევს თურქეთს საერთაშორისო ენერგეტიკულ არენაზე.

### **უკიდურესი მდგომარეობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და NATO-ს ენერგეტიკული უსაფრთხოება: ტრანსნაციონალური უსაფრთხოების მომავალი ძალები**

2000 წლის დასაწყისიდან მოყოლებული აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთი გახდა ზღვისპირა ქვეყნების, კერძოდ, თურქეთის, კვიპროსის რესპუბლიკის, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის, საბერძნეთის, ისრაელისა და გარკვეულწილად ლიბანის კამათის საგანი. დავები მიმდინარეობს საზღვაო საზღვრების გამიჯვნაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას (EEZ). აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთი გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანია და ეს მნიშვნელობა გაიზარდა სიახლესთან ერთად – ამ ტერიტორიაზე არის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვები. კვიპროსის რესპუბლიკამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ლიბანთან, ეგვიპტესთან და ისრაელთან საზღვაო საზღვრების გამიჯვნასთან დაკავშირებით. მან აგრეთვე გამოაცხადა ტენდერები ნავთობის მოპოვებაზე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც, მისი მტკიცებით, ხვდება მისი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის ფარგლებში. ამის საპირისპიროდ, თურქეთმა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც მსგავსია 2011 წელს კვიპროსის რესპუბლიკას, ლიბანსა და ეგვიპტეს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებისა.

კვიპროსის გარშემო ზღვაში გაზის აღმოჩენა ბოლო ათი წლის ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო აღმოჩენაა.<sup>25</sup> სამოქალაქო საინჟინრო ინსტიტუტის ინფორმაციის მიხედვით, „კვიპროსი ახალი პერსპექტიული ქვეყანაა ნახშირწყალბადის კვლევის თვალსაზრისით, რასაც მოწმობს ახლახან აღმოჩენილი გაზის საბადოები ეგვიპტისა და ისრაელის მიდამოებში, რაც ცხადყოფს, რომ ნავთობის სისტემები აქტიური იყო ლევანტისა და შეროდოტეს ძალიან დიდ აუზებში“.<sup>26</sup> თუკი ყველა ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იცავენ ასე დაჟინებით საბერძნეთი და კვიპროსის რესპუბლიკა საკუთარ ინტერესებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. კვიპროსის რესპუბლიკისა და ისრაელის გაზის ევროპისკენ ისრაელის გავლით ტრანზიტი ეკონომიკური თვალსაზრისით არასერიოზულია. ყველაზე ლოგიკური ეკო-

ნომუკური გზა კვიპროსის რესპუბლიკიდან თურქეთისკენ, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა კვიპროსის რესპუბლიკას, თურქეთსა და, განსაკუთრებით, ისრაელს შორის არსებული პოლიტიკა.<sup>27</sup> თურქეთის აკადემიური წრეები და ჟურნალისტები კვიპროსის რესპუბლიკის ქმედებებს ხსნიან, როგორც მის მცდელობას გახდეს მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშე გაზისა და ნავთობის წარმოების საშუალებით. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ კვიპროსის რესპუბლიკას მიზნად აქვს დაძაბოს ურთიერთობები თურქეთსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის მათთან ხელშეკრულებების გაფორმების გზით. ამასთანავე, ევროკავშირსა და გაეროში ამ პრობლემაზე ლაპარაკით კვიპროსის რესპუბლიკა ცდილობს ჩირქი მოსცხოს თურქეთს საკუთარი აკადემიური წრეებისა და ჟურნალისტების თვალში. დაბოლოს, კვიპროსის ინიციატივები განიხილება, როგორც თურქეთის საზღვაო ტერიტორიების არასამართლიანად შეზღუდვის პოტენციალის გამოვლინება.<sup>28</sup>

ასეთი სწრაფი გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ქვეყნები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული ერთმანეთის პროდუქციაზე, მრავალეროვანი ორგანიზაციები იწყებენ ამ პროდუქციის უსაფრთხოების დეტალურ შესწავლას. ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელმაც ფუნქციის თვალსაზრისით დიდი ცვლილება განიცადა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არის NATO. რადგან მისი როლი, როგორც საბჭოთა საფრთხისგან დამცველისა, შემცირდა, მას მოუწია საკუთარი თავის განახლება. NATO-მ ეს გააკეთა როგორც თავისი ევროპელი წევრების დასახმარებლად, ისე იმ ქვეყნების პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც მდებარეობენ გეოგრაფიული ევროპის პერიფერიებზე, წარმოადგენენ NATO-ს პოტენციურ კანდიდატებს და ენერგეტიკის თვალსაზრისით ბევრი რამის შემოთავაზება შეუძლიათ. რადგან სულ უფრო მეტი ყურდლება ექცევა ზოგადად ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, NATO-ს ენიჭება უფრო დიდი მულტინაციონალური ფუნქცია – მოკავშირეებს ენერგეტიკულ საკითხებზე გაუწიოს კონსულტაციები.<sup>29</sup> შეიძლება ითქვას, რომ ბევრი პარტნიორი ქვეყანა დაინტერესდებოდა NATO-სთან მუშაობით და კონსულტაციების სახით მისი გამოცდილების გაზიარებით ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე.<sup>30</sup> მაგალითად, 2006 წლიდან მოყოლებული თურქეთი, NATO-ს ფარგლებში მასპინძლობს სასწავლო კურსს სახელწოდებით International Course Eternity, რომელიც ანკარაში ტარდება. ეს საშუალებას აძლევს აზერბაიჯანს და საქართველოს მონაწილეობა

მიიღონ ტრენინგში და ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. რადგან საქართველო მიისწრაფის NATO-ს წევრობისკენ, ეს თანამშრომლობა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია და მას ასევე გაცნობიერებული აქვს NATO-ს როლი ფართო ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში.<sup>31</sup>

ისეთ მრავალეროვნულ ორგანიზაციასთან ერთად წინსვლამ, როგორც NATO-ა, შესაძლოა გზა გაკვალოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მომავლის უზრუნველსაყოფად. რადგან ევროპის ენერგეტიკა ზრდას საჭიროებს, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება იმ მილსადენების დაცვას, რომლებიც გაივლიან აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში. სამნუხაროდ, NATO-ს ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება განსაკუთრებით რთულია საზოგადოებისთვის, რადგან ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში NATO გაასაჯაროებს თავის ინფორმაციას ენერგოუსაფრთხოების შესახებ, რათა საზოგადოებამ უფრო ადვილად დაინახოს, თუ რას აკეთებენ ისინი ამ სფეროში. ეს უზრუნველყოფს NATO-ს პოლიტიკის უკეთ გაგებას ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბედის შესახებ მკაფიო ხედვას წარმოადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მეთოდს, რომლითაც იგი ენერგეტიკული აქტივების უსაფრთხოებას იცავს. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა მასთან არსებული სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი (Strategic Pipeline Protection Department). დღიდან დაარსებისა ეს დეპარტამენტი შესანიშნავად მუშაობს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრანსნაციონალური მილსადენების უსაფრთხოების სფეროში. 2011 წლის NATO-ს შეხვედრაზე „უსაფრთხოების უახლესი გამოწვევების შესახებ“ (Emerging Security Challenges), რომელიც ჩატარდა თბილისში, საქართველოში, კონსტანტინე ციციშვილმა, სტრატეგიული მილსადენების დაცვის სამსახურის უფროსმა, შენიშნა, რომ სმდდ (SPPD) არის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ოპერატიული ჯგუფი ენერგეტიკის დაცვის სფეროში, რომლის მოქმედების შედეგი არის ის, რომ დეპარტამენტის დაარსების შემდეგ მილსადენების საქართველოს მონაკვეთზე არც ერთი ტერორისტული აქტი ან ნავთობის ქურდობა არ დაფიქსირებულა. ამასთანავე, მილსადენები იყენებენ კომპიუტერული კონტროლის დახვეწილ სისტემას, რომელიც მუშაობს სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებე-

ლი მთავარი სერვერის მეშვეობით, რომ თავიდან აიცილონ კიბერ-შეტევები.<sup>32</sup> რასაკვირველია, სმდდ წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს თურქეთისთვის.

## დასკვნა

ზემოთ მოხმობილი ინფორმაციის ფონზე ლოგიკურია, რომ კითხვები გაჩნდეს თურქეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს ამ სამი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მხრივ რალაც წინსვლაც გამოჩნდა. თურქეთი დიდ ენერგეტიკულ თამამში ძირითადად შუამავალი ქვეყანაა და შესაძლოა დანაკარგებსაც განიცდიდეს, რადგან მას არ შეუძლია უსაფრთხოდ გაატაროს ნახშირწყალბადი თავის ტერიტორიაზე, რითიც ადუნებს ევროპის მოთხოვნილებას რუსულ გაზზე.

თურქეთმა იმისათვის, რომ გახდეს ძლიერი რეგიონული სატრანზიტო ჰაბი, უნდა შექმნას ენერგეტიკული უსაფრთხოების სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რათა თავის ენერგეტიკულ აქტივებზე გაზარდოს უსაფრთხოება და მნიშვნელოვნად შეამციროს ან სრულიად აღმოიფხვრას ნავთობის ქურდობა და მილსადენებზე მონყობილი ტერაქტები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თურქეთიც, ევროპის მსგავსად, რუსეთისა და ირანის ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი გაზის თვალსაზრისით მას აზერბაიჯანთან აქვს კავშირი. ეს კავშირი აზერბაიჯანთან, რუსეთთან და ირანთან ურთიერთობებისაგან განსხვავებით, არის მეგობრული და სტაბილური.

თუკი თურქეთი სერიოზულად არ შეხედავს თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევებს, მაშინ ის რისკის ქვეშ დააყენებს თავის, როგორც „ენერგეტიკული ჰაბის“ მზარდ რეგიონულ რეპუტაციას, რომლისკენაც ის ისწრაფვის. ეს, რეპუტაციის დაკარგვასთან ერთად, გამოიწვევს როგორც თავისი ენერგომიმნოდებლების (აზერბაიჯანი, ერაყი და ირანი), ისე ბენეფიციარების (ევროპა და ევროკავშირი) გულისწყრომას. ევროპისა და ევროკავშირის გულისწყრომა კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ენერგომიმნოდებლებისა, თუკი გავითვალისწინებთ ევროკავშირის რბილ ძალას და თურქეთის სურვილს განევრიანდეს ევროკავშირში.

თურქეთმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საქართველოსთან და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტთან. ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალმა გაერთიანებულმა კომპან-

იამ (თუ ის ნამდვილად ჩამოყალიბდება), რომელშიც სამი ქვეყანა ითანამშრომლებს, უნდა შექმნას სმდდ-ის ტრანსნაციონალური ვარიანტი, რათა რეგიონში უზრუნველყოს უფრო ძლიერი ენერგეტიკული უსაფრთხოება. ენერგეტიკული უსაფრთხოების სმდდ-ის მსგავსი ოპერატიული ჯგუფის გამოყენება იდეალური საშუალება იქნებოდა თურქეთისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის აღმოსავლეთი მონაკვეთი, რომელზეც მილსადენების უმეტესობა გაივლის, ძალიან მსგავსია საქართველოს გეოგრაფიული ლანდშაფტისა. საქართველოსთან შედარებით მთავარი სხვაობა ის არის, რომ თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია ქურთისტანის მუშათა მოძრაობის ჯგუფები (PKK), რომლებიც მიუხედავად მიმდინარე „სამშვიდობო პროცესისა“, საფრთხეს წარმოადგენს მილსადენებისთვის. სმდდ-ის მიხედვით შექმნილი უსაფრთხოების ოპერატიული ჯგუფი, რა თქმა უნდა, გაინრთვნება საიმისოდ, რომ გაუმკლავდეს ამ ტიპის ტერორისტულ საფრთხეებს და მომზადდება მათ გასაწეიტრალებლად. ამ პროექტის განსახორციელებლად საქართველოს სმდდ-ის დღევანდელი ოფიცრები შეიძლება გამოყენებულ იქნენ თურქებთან ერთად სამუშაოდ და მათ გასაწვრთნელად თურქეთის ტერიტორიაზე. ეს უდიდეს სარგებლობას მოუტანს თურქეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, რადგან ახლა თურქეთი თავისი „რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის“ მდგომარეობის შენარჩუნების კრიტიკულ ზღვარზეა. თურქეთისთვის აუცილებელია ჰყავდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების ძლიერი და ერთგული ოპერატიული ჯგუფი, რათა გაამყაროს თავისი, როგორც ენერგეტიკული ჰაბის როლი.

## გამოყენებული წყაროები

1 Andrew Weiss, F. Stephen Larrabee, James T. Bartis, et al., “Promoting International Energy Security: Volume 2 Turkey and the Caspian,” *RAND*, 2012, p. 16, [www.rand.org/pubs/technical\\_reports/TR1144z2.html](http://www.rand.org/pubs/technical_reports/TR1144z2.html), 17.09.2013

2 Taner Yildiz, “Interview with Taner Yildiz,” *Turkish Policy Quarterly*, Vol. 11, No. 3, p. 32.

3 For the US: US Department of State. 28 September 2012, [www.state.gov/j/ct/rls/other/des/123085.htm](http://www.state.gov/j/ct/rls/other/des/123085.htm), 22.09.2013

For the EU: Official Journal of the European Union. COUNCIL COMMON POSITION 2003/906/CFSP of 22 December 2003 updating Common Position 2001/931/CFSP on the application of specific measures to combat terrorism and repealing Common



Position 2003/651/CFSP, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:340:0077:0080:EN:PDF>, 22.09.2013

4 Vladimir Likhachav, "The Role of Energy in Russia's Relations with Turkey and Iran," Center for Strategic and International Studies, pp. 4-5, 29 March 2012, [http://csis.org/files/attachments/120529\\_Likhachev\\_Russia\\_Energy.pdf](http://csis.org/files/attachments/120529_Likhachev_Russia_Energy.pdf), 20.09.2013

5 Yucel Acer, Ersal Aydinli, Okan Dimirkan, et al., "Critical Energy Infrastructure Security Project: Executive Summary," USAK, 2012, p. 17, [www.usak.org.tr/EN/rapor.asp?id=144](http://www.usak.org.tr/EN/rapor.asp?id=144), 15.09.2013

6 Nedrun Hacıoğlu, "Gazprom 2013'te yüzde 10 indirimde gidiyor," *Hurriyet*, 19 December 2012, [www.hurriyet.com.tr/ekonomi/22193619.asp](http://www.hurriyet.com.tr/ekonomi/22193619.asp), 19.09.2013

7 "Natural Gas Exports from Iran," *U.S. Energy Information Administration*, 9 October 2012, [www.eia.gov/analysis/requests/ngexports\\_iran/](http://www.eia.gov/analysis/requests/ngexports_iran/), 22.09.2013

8 United Nations: Department of Economic and Social Affairs: Population division, "World Population to 2300," 47 & 49, [www.un.org/esa/population/publications/longrange2/WorldPop2300final.pdf](http://www.un.org/esa/population/publications/longrange2/WorldPop2300final.pdf), 20.09.2013

9 Hasan Alsnacak, "The Role of Turkey in Global Energy: Bolstering Energy Infrastructure Security," *IAGS Journal of Energy Security*, May Issue 2010, [www.ensec.org/index.php?option=com\\_content&view=article&id=247:the-role-of-turkey-in-the-global-energy-bolstering-energy-infrastructure-security&catid=106:energysecuritycontent0510&Itemid=361](http://www.ensec.org/index.php?option=com_content&view=article&id=247:the-role-of-turkey-in-the-global-energy-bolstering-energy-infrastructure-security&catid=106:energysecuritycontent0510&Itemid=361)

10 Acer, op cit. p. 16.

11 Ibid., p. 18.

12 Weiss et al., op cit. p. 31.

13 Ibid., p. 15.

14 Ibid., p. 14.

15 Weiss et al, op cit. p. 29.

16 Kamuenerji.com (2009) "BOTAŞ 5 Yılda 72 bin 729 Varil Petrol Çaldırdı," [www.kamuenerji.com/Anasayfa/botas-5-yilda-72-bin-729-varil-petrol-caldirdi.html](http://www.kamuenerji.com/Anasayfa/botas-5-yilda-72-bin-729-varil-petrol-caldirdi.html)

17 Acer, op cit. p. 14.

18 Reha Aykul Muratoğlu, *Turkish Policy Quarterly* Roundtable: "The 'New Game' of Energy in Turkey and its Neighborhood," Istanbul Grand Hayatt Hotel, 31 October 2012

19 Matthew J. Bryza, *Turkish Policy Quarterly* Roundtable: "The 'New Game' of Energy in Turkey and its Neighborhood," Istanbul Grand Hayatt Hotel, 31 October 2012

- 20 Konstantine Tsitsishvili, SPPD, NATO Conference on Emerging Security Challenges, Panel II: Energy Security, Including Cyber Threats to Infrastructure, Tbilisi, Georgia, 7-8 July 2011
- 21 Sumeyra Kocer, "Turkey Lacks Legislation on Critical Energy Infrastructure," *Today's Zaman*, 12 July 2011, [www.usak.org.tr/EN/haber.asp?id=865](http://www.usak.org.tr/EN/haber.asp?id=865), 15.09.2013
- 22 Teymuraz Sharashenidze, "Azerbaijan, Georgia and Turkey can jointly ensure security of infrastructure facilities," *Trend*, 8 August 2012, <http://en.trend.az/news/politics/2054575.html>
- 23 "Azerbaijan, Turkey and Georgia to hold joint military exercises," *Trend*, <http://en.trend.az/news/politics/2091791.html>, 08.09.2013
- 24 Turan Morali, "Turkish envoy to Azerbaijan downplays concerns over oil pipeline's security," *BBC Worldwide Limited*, 6 June 2006, <http://search.proquest.com/docview/450437819?accountid=17384>, 13.09.2013
- 25 "Fossil fuels - Gas - Shell - Turkey - Turkey-Cyprus Relations, Cyprus, Turkey and Israel Wrestle over Gas," *Euronews* [www.euronews.net/2011/11/23/cyprus-turkey-and-israel-wrestle-over-gas/](http://www.euronews.net/2011/11/23/cyprus-turkey-and-israel-wrestle-over-gas/), 10.09.2013
- 26 Solon Kasinis, Institution of Civil Engineers, "Offshore Cyprus Hydrocarbon Exploration Activities," [www.ice.org.uk/nearyou/Europe/Cyprus/Offshore-Cyprus-Hydrocarbon-Exploration-Activities](http://www.ice.org.uk/nearyou/Europe/Cyprus/Offshore-Cyprus-Hydrocarbon-Exploration-Activities), 11.09.2013
- 27 Bryza, op cit.
- 28 Taki Berberakis, "Teksaslı petrolcü oyunu," *Milliyet Gazetesi*, 1 Şubat 2007, [www.milliyet.com.tr/2007/02/01/siyaset/siy03.html](http://www.milliyet.com.tr/2007/02/01/siyaset/siy03.html), 11.09.2013
- 29 Michael Rühle and Julijus Grubliauskas, "NATO Energy Security: Infrastructure and Beyond," *Turkish Policy Quarterly*, Vol. 11, No. 3, p. 68.
- 30 Ibid, p. 68-69.
- 31 Ministry of Internal Affairs of Georgia, "Pipelines on Georgian Territory as Part of the Euro-Atlantic Energy Infrastructure and the Issue of their Security," *OSCE CTN Special News Bulletin: Protecting Critical Energy Infrastructure from Terrorist Attacks*, p. 9, [www.osce.org/atu/41367](http://www.osce.org/atu/41367), 10.09.2012
- 32 Tsitsishvili, op cit.